სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საავარაკოში)
სასეირნო ბაღი

## ☛ არმაზი ☚

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ც ო ც ხ ა ლ ი თ ე ვ ზ ე ბ ი
**ყველაფერი იაფად**
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—20) გ. ჩხარტიშვილი

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ღირს წლის დამლევამდე **3** მ. **50** კ.

შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
**ფასი ყველაფერზე იაფია**
შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
**ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.**

**Депо обоевъ**
## I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз· магаз. ЛАНКО. (100 29)

პანსიონი და სასწავლებელი
## ნ. დიდებულიძისა
**გადავიდა** ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.




ღვინის სარდაფი
## „იყალთო“
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
## იყალთო
ბოთლი **20** კაპ. ვიდრე **1** მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
**подъ фирмой**
## „ИКАЛТО“
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—6)

## ამზადებს
საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისთვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით ჰსურს ჯარში ჩაერიცხოს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადვიდეს (вольноопредѣляющіися). ფასი ყველას მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგა დაიჭერენ ეგზამენს და მიღებულ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმაა ქალაქ გარეთაც წაჰყვეს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიანთ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—9)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი
მ ი ი ღ ე ბ ს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.**
დილ. **9—11** ს. საღამოზე **5—7** ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—28)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ისევ ქუთაისის საქალაქო არჩევნების გამო. ორშაბათს, 13 ივლისს, ქუთაისის ხმოსნებს გამგეო-

ბის წევრად აურჩევიათ ისევ ძველი წევრი იაკობ ჩიმაკაძე 40 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 19-სა.

ეს გარემოება სწორედ რომ საკვირველია. როგორც ვიცით, ბ-ნი ჩიმაკაძე ეკუთვნის ბ-ნ ლოლუას მოწინაამდეგე დასს და, რა თქმა უნდა, ბ-ნი ლოლუა ყოველ ღონისძიებას იხმარებდა, რომ ი. ჩიმაკაძე გაეშავებინა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩიმაკაძემ 31 შავი კენჭის მაგიერად (რომლითაც ბ-ნი ლოლუა იქმნა არჩეული) მიიღო მხოლოდ 19, ხოლო თეთრი ორჯერ მეტი. აშკარაა, რომ ბ-ნი ლოლუას თეთრები, რომლითაც იგი აირჩა, რაღაც თვალთ-მაქცობით გამრავლებულა.

და მართლაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ლოლუამ ხმოსნების რიცხვიდან განაძევა მოწინაალმდეგენი ბ-ნნი ვ. ქორქაშვილი და დ. ჩიკვაიძე და ამათ მაგიერად ჩარიცხა თავისი მომხრენი; მერე, ხმოსან თუთბერიძის მაგიერად, რომელიც სასულიერო მთავრობისაგან იყო დანიშნული, ყოველ უმართლო ხრიკებით დაინიშნა დეკ. დ. ღამბაშიძე და მესამე ერთი ოპოზიციის ხმოსანი რაღაც მიზეზით სოფელში გაემგზავრა, ადვილი წარმოსადგენია. თუ როგორ გაამრავლა ბ-ნმა ლოლუამ თავისი კენჭები...

ხოლო თუ რაოდენად კანონიერია, რაოდენად მართებული და ღირსეულია ესეთი ბრძოლა, რომელსაც უფრო ძალ-მომრეობა და უკუღმართობა ეწოდების, ამაზე ჩვენ ჯერ-ჯერობით არას ვამბობთ, რადგან თვით ღვაწლი და „საქმენი საარაკონი" ძალზე ღაღადებენ ბ-ნ ლოლუას „ჯენტლემენობაზე"...

*** **კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე** გენ.-ლ. ა. ა. ფრეზე დღეს მოვა ტფილისში და საღამოს ისევ კოჯორს გაბრუნდება.

*** **შეტაკება და შეურაცხყოფა.** ჩვენ გვატყობინებენ ქუთაისიდან, რომ 11 ივლისს, დილის 11 საათზე, საკათედრო ტაძართან რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ ბ-ნ ს. ყ—ს და პ. გ—ს. ლაპარაკს ისეთი ხასიათი მიუღია, რომლის შემდეგ საქმე ხმლით თავდება ხოლმე, მაგრამ ხსენებულ პირთ ხმლისათვის ხელები უმჯობინებიათ და მკლავის ლოღიკით გაუთავებიათ საკამათო საგანი!

*** **თავხედური თავს დასხმა ყაჩაღებისა.** როგორც გვატყობინებენ სოფ. ბაკურიანს ამ სამი დღის წინად თავს დასხმიან ვიღაც ავაზაკები და სულ ერთიანად გაუძარცვავთ ყველა მოაგარაკენი, რომელნიც წელს, თურმე, ძრიელ ბევრნი იყვნენ. ამ საქმეზე გამოძიება უკვე სწარმოებს. დაწვრილებით ამბებს თავის დროზე შევატყობინებთ მკითხველებს.

*** **პლიუშჩევსკის საქმე.** განსვენებულის კერძო ვექილის პლიუჩევსკის საქმე, რომელსაც თავ. კ. ივ. მუხრან-ბატონი აბრალებდა თავისი მამის, ი. მუხრანსკის სახელზე, ყალბი ქაღალდის შედგენას და რომელიც ამ ქაღალდის ძალით კ. მუხრან-ბატონს 99 ათასი მანეთის გადახდას მოსთხოვდა, ისევ სწარმოებს და ამ დღეებში დანიშნულია ხსენებულ ქაღალდის შემოწმება.

*** **სახლის პატრონთა საყურადღებოდ.** ტფილისის პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს სახლის პატრონებს, სახლების მოიჯარადრეთ და გამგეთ, სასტიკად დაიცვან ქალაქის ქუჩებისა, ეზოებისა, ქვაფენილებისა და მოედნების სისუფთავე 8 საჟენის მანძილზე მათი მფლობელობიდან, და მასთან დასძენს, რომ ვინც ამ წინადადებას არ აასრულებს, მიეცემა პასუხის გებაში სასჯელთა წესდების 29 მუხლის ძალით.

*** **იჯარით გასაცემი ადგილები.** ჩაქვიდან „კავკაზს" ატყობინებენ, რომ ციხის ძირის მახლობლად მყოფი მიწა, რომელიც ხაზინას ეკუთვნის და ამ ჟამად ბათომის მონადირეთა საზოგადოებას აქვს იჯარით აღებული, სივრცით 190 დესეტინა, განზრახვა აქვთ, შეუერთონ ჯაიათისა და ციხისძირის მიწებს და აგრეთვე წვრილ-წვრილად დაანაწილონ აგარაკად და მცენარის მოსაშენებლად. თითო ნაგლეჯი მიწისა იქნება 2—5 დესეტინა და გაიცემა ხანგრძლივი იჯარით (99 წლით), ეხლავე შესყიდვის უფლებით. იჯარით აღებული მიწა უნდა გაიწმინდოს ბალახისა და არა საჭირო ტყისაგან ერთის წლის განმავლობაში, მეორე წელს კი მაზე უნდა მოაწყონ აგარაკი ან-და გააშენონ მაღალი ჯიშის მცენარეები.

*** **სასკოლო სახლების დათვალიერება.** ქალაქის მოურავის მოადგილემ ა. ა. ივანენკომ ქალაქის სამასწავლებლო კომისიის წევრებთან ერთად, 12 ივლისს დაათვალიერა ვერაზე თავ. მაჩაბლის სახლი და ავლაბარში ბ. ივანოვის სახლი, სადაც განზრახულია სკოლების გახსნა.

*** **ელექტრონის გუთანი.** გაზ. „მშაკი" სწერს, რომ ქ. ალზევანის მცხოვრებელმა გაბრიელ ცაგიკიანმა, რომელიც ამ ჟამად გერმანიაში სცხოვრობს, აღმოაჩინა ისეთი საშუალება, რომ კაცს შეუძლიან ელექტრონით ახნევინოს გუთანსაო. ხსენებულ გაზეთის რედაქციას მოსვლია ვრცელი ანგარიში იმის შესახებ, რომ ეს ახალი იარაღი უცდიათ მოლკენბერგის მამულში და ძლიერ კარგი გამომდგარა. ამ ახლად გამოგონილის იარაღით შეიძლება თურმე ერთს დღეს კაცმა ხუთი დღის მაჭული მოხნას და 12 საათის განმავლობაში ექვს დღიურზე მეტი სახნავი ადგილი. გერმანიის მემამულენი აპირობენ, თურმე, ამ ახლად გამოგონილის იარაღის შეძენას.

*** **პაკეტიდან 50,000 მანეთის მოპარვის საქმემ,** რომელიც მოხდა ტფილისის ფოსტის კანტორაში, გამოარკვია, რომ ამ ქურდობაში მონაწილეობა მიუღია სხვა პირსაც, გარდა დატყვევებულ ორჯონიკიძისა. რადგან შეცვლილ პაკეტზე წარწერა ორჯონიკის ხელს არ ეკუთვნის, ამის გამო გამომძიებელმა ექვი მიიტანა მის ბიძაშვილს გედეონ ორჯონიკიძეზე, რომელიც ბოლო ხანებში ხშირად ნახულობდა თავის ბიძაშვილს სამსახურში და ბინაზე, გ. ო—ძის ხელი შეამოწმეს. ბანკის ბეჭედი პაკეტზე ყალბი აღმოჩნდა. ნახეს აგრეთვე ყალბი ბეჭედი. 11 ივლისს გედეონ ორჯონიკიძე მეტეხის ციხეში დააპატირეს. („ტ. ფ.")

*** **მტვერში ვიხრჩვებით!** ნეტავი თუ კიდევ არის ტფილისში ისეთი მტვრიანი და უსუფთაო ქუჩა, როგორიც არის ახალ-არსენალის ქუჩა?!. მე-კი არა მგონია-და... ვისაც ერთხელ მაინც არა ჰღირსებია ამ ბოლო დროს ამ ქუჩაზე გავლა, ის ძნელად თუ წარმოიდგენს ამ ქუჩის მდგომარეობას და მცხოვრებთა გაჭირვებას. ქუჩაში ისეთი მტვერი დგას, რომ კაცს გავლა არ შეუძლია, ნაგავს ხომ ნუღარ იტყვით. ამ ქუჩაზე შეუჩერებელი მიმოსვლაა დღე და ღამე ეტლებისა, ურმებისა, ხარ-კამეჩებისა, ძროხებისა და სხვათა. ყოველ ამათ გავლაზე ქუჩაში დგება საშინელი კორიანტელი და იმისთანა თქვენს მტერს, გამვლელ-გამომვლელს იგი დღეს აყრის: ცხვირ-პირს სულ მტვერით უვსებს. აქ მცხოვრებთ უარესი დღე ადგათ: ამ საშინელის სიცხე-პაპანაქებისაგან სულ-შეხუთულთ და გულ-შეწუხებულთ უარესად უწუხდებათ გული და სუნთქვა უძნელდებათ მტვერისაგან. თუ ოთახის კარ-ფანჯრები ჩაკეტილი არ გაქვთ, მტვერით აივსება ოთახი, თუ ჩაკეტეთ-და, ვაძლება თქვით შიგ... და უჰაერობა ოთახებში, ხომ მოგეხსენებათ, რა მავნებელიც არის ჯანმრთელობისათვის.

აი ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში ვიმყოფებით და ყურადღების მომქცევი-კი ჯერ-ჯერობით არავინ სჩანს. ნეტავ ვისთვის რა დაგვიშავებია, რომ ლამის არის მტვერმა დაგვახრჩოს და ჩვენნი ბატონ-პატრონნი ყურსაც არ იბერტყენ...

ს. ვ—ია

*** **ოზურგეთი. განსვენება მოსე ურუშაძისა.** მწუხარებამ მოიცვა მთელი ოზურგეთი, ყველას სახეზე მწუხარება ეხატება, ყველა დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი სწუხს და გლოვობს. დღეს გამოვეთხოვეთ უკანასკნელად, და მივაბარეთ მიწას ჩვენი ახალგაზდა და გულ-კეთილი მუშაკი მოსე ოქროპირის ძე ურუშაძე. დილის რვა საათი იყო, რომ დუქნები დაიკეტა, ცხრა საათზედ შეიკრიბა ხალხი განსვენებულის სადგომის ეზოში. ხალხით გაიჭედა მთელი ეზო. არსად მოძრაობა აღარ იყო; მთელი ქალაქი დაცარიელდა, ყველა მიეშურებოდა, რათა უკანასკნელად გამოსთხოვებოდა, ყველასათვის საყვარელს და პატივსაცემ გვამს. ბევრნი იყვნენ ბათომიდან და სხვა კუთხეებიდანაც. ათის ნახევარზე, მცირე პანაშვიდის შემდეგ გამოასვენეს კუბო სახლიდან. კუბოს ამშვენებდა მრავალი ძვირფასი გვირგვინები; ორი გვირგვინი იყო ბათომელ ამხანაგობისაგან, ერთი ოზურგეთის ქალაქის თვით მმართველობისაგან, ერთი ოზურგეთის ვაჭრებისაგან, ერთი თავისუფალ ეტლთა ამხანაგობისაგან და ერთიც ქალაქის სასწავლებლისაგან.

პირველად კუბო წაასვენეს ქ. ოზურგეთის სობოროში; წირვის დროს შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ბბ. შევარდნაძემ და მ. თუმანიშვილმა, მხოლოდ პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა სობოროს წინამძღვარმა მღ. დ. დუმბაძემ, რომელმაც აატირა მთელი საზოგადოება. წირვის შემდეგ კუბო წაასვენეს ს. ექადიას. განსვენების დროს შუა ბაზარში თხოვნისამებრ დაასვენეს და შესაფერი სიტყვა უძღვნა თავ. მელ. ნაკაშიძემ. შემდეგ ამისა კუბო წაასვენეს და დაკრძალეს ექადიის ეკკლესიის ეზოში.

იდაშელი

*** **ს. აკეთი** (გურია). **საქალებო სკოლის საჭიროება.** აკეთის საზოგადოება დღითი-დღე წინ მიდის, განათლების გზას ადგია. ყველამ კარგად შეიგნო ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლას, იციან კარგად, რომ სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე. ჯერ-ჯერობით აკეთის საზოგადოებაში არსებობს ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა და სამი სამრევლო. ვინაიდან სწავლის მსურველნი ძლიერ ბევრია, ამისათვის

ეს ოთხი სკოლა ვერ აკმაყოფილებს ყველას. მაგალ. შარშან ენკენისთვეში ორ-კლასიან სასწავლებელში შემსვლის მსურველთა რიცხვი ოთხმოცს აღემატებოდა, მაგრამ ადგილის უქონლობისა გამო მიღებულ იქმნა მხოლოდ ორმოცი ბავშვი, დანარჩენი-კი დაღვრემილი და თვალ-ცრემლიანი გაეშურა სახლისაკენ.

ამ გარემოებამ ხალხი ძალიან შეაწუხა და დაალონა. ამ საზოგადოების მამასახლისმა პ. თოხაძემ მოახდინა ყრილობა და გამოუცხადა ხალხს, რომ მთავრობას ვთხოვოთ მესამე მასწავლებელი და ყოველ წლივ ფულად ოც-და-ხუთი თუმანიო. ხალხმაც დიდის სიხარულით მოისმინა ეს კეთილი განზრახვა და იმავე დღეს განაჩენი დაადგინა, რომლითაც საზოგადოება თხოულობდა მთავრობისაგან მესამე მასწავლებლის გამოგზავნას და ფულად ყოველ წლივ ოცდა-ხუთ თუმანს. მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და 1-ლ ივლისს 1898 წ. დანიშნა მესამე მასწავლებელი და ფულად შემწეობა აღუთქვა ოც-და-ხუთი თუმანი ყოველ წლობით.

ეს ყველაფერი კარგი! აქეთის ორ-კლასიან სკოლას მომავალ ენკენისთვიდან ეყოლება სამი მასწავლებელი, მაგრამ რა! ორ-კლასიან სკოლას შეეძლება, ისიც გაჭირვებით, მხოლოდ ვაჟების სურვილი დააკმაყოფილოს, ქალები-კი უნდა დარჩნენ უსწავლელნი. იმედია მამასახლისი პ. თოხაძე ჩააგონებს ხალხს, თუ რამდენად საჭიროა მათთვის ერთი საქალებო სკოლა. მხოლოდ თაობა უნდა, თორემ მე დარწმუნებული ვარ, რომ აქაური ხალხი იმდენად შეგნებულია, რომ ამისთანა კეთილ საქმეს არ გაექცევა.

ეს საქმე მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ თვით სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ. სავიჩმა ამას წინად სთქვა, რომ თუ საზოგადოება შენობას ააგებს სკოლისათვის, მთავრობა მასწავლებელს თავის ხარჯით გამოგზავნისო.

კოწია ქეიშვილი

*** **გორი.** ყაჩაღების კვალის პოვნა. მკითხველს ეხსომება, რომ წელს ზამთარში, დღისით თავს დაესხნენ პირ-ახვეული ყაჩაღები სოფ. ხცისის მემამულეს თავ. თ. კ. ციციშვილს. ყოველმა ძებნამ ამ ყაჩაღების აღმოსაჩენად დღემდე ფუჭად ჩაიარა და მხოლოდ ახლა წააწყდნენ შემთხვევით მათ კვალს. 7 ივლისს, გაძარცულის ცოლი კნ. ბარბარე ციციშვილისა ტფილისიდან მატარებლით მოდიოდა და ერთი თავისი ნაცნობი ქალის ხელზე დაინახა თავისი ბეჭედი, რომელიც მას ყაჩაღებმა წააძვრეს თითიდან. ნაცნობმა ქალმა, რომელიც აგრეთვე ერთი ადგილობრივი მემამულის ცოლია, კნ. ბარბ. ციციშვილის კითხვაზე მიუგო, ეს ბეჭედი ერთი თათრის ქალისაგან ვიყიდე, რომელიც ჰყიდდა სხვა-და-სხვა ნივთებს და ძვირფასეულობას გორის მაზრის სოფლებშიო: რომ ეს ბეჭედი ციციშვილის ცოლს ეკუთვნოდა, ამის დასამტკიცებლად უკანასკნელმა განაცხადა, მაგ ბეჭედზე ნემსით დაწერილია ქართულად „ბაბო“, ჩემი საშინაო სახელიო. გასინჯეს ბეჭედი და გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ მართლაც აღმოაჩინეს ასეთი წარწერა, რომელშიაც ქართული ასო „ბ“ სრულიად გარკვევით შენახულიყო. გორში მოსვლის შემდეგ კნ. ბ. ციციშვილისამ განუცხადა ყოველივე ეს მაზრის უფროსს, რომელმაც დაუყოვნებლივ გაჰგზავნა პოლიციის მოხელენი გამოძიების მოსახდენად ს. დოესში, სადაც დროებით მივიდა ის ქალი, რომელსაც ხელზე ბეჭედი უნახეს. იმავე დღეს ნაშუადღევის 3 საათზე მივიდა დოესში პოლიცია, გამოართვა ხსენებულს ქალს ბეჭედი და დაწვრილებით გამოიკვლია ამ ბეჭდის შეძენის საქმე. ქალმა განუცხადა, ის თათრის ქალი, რომლისგანაც ეგ ბეჭედი შევიძინე, საზოგადოდ სხვა და სხვა ძვირფასეულობას ჰყიდდა ხოლმე, და მე როცა ეგ ბეჭედი ვიყიდე მისგან, არ შემეძლო ეჭვი ამეღო, რომ ეს ბეჭედი ნაქურდალია და კნ. ბარბარეს ეკუთვნოდაო, და გარდა ამისა, იმავე თათრის ქალმა სოფ. კინწვისში სხვებსაც მიჰყიდა ბეჭდებიო. იმედია, რომ საქმის გამოძიება აღმოაჩენს დამნაშავეთ და, შეიძლება, ამ თავგასული გაძარცვის მფარველებსაც.

შ. კ.

*** **დ. ყვირილა.** ადგილი ბაზრობისათვის. ოთხშაბათს, 8 ივლისს, ბ-ნმა მაზრის უფროსმა შეყარა ყვირილის საზოგადოება და გამოუცხადა, რომ სად უნდა დანიშნულიყო ბაზრობა, ე. ი. „იარმუკობა“ იქ, სადაც წინედ იყო თუ სხვა რომელიმე ახალ ადგილზე? რასაკვირველია, ზოგმა, ძველი ადგილი ირჩიეს და ზოგმა ახალი, რომელიც სწორედ, რომ შესაფერი ადგილია ბაზრობისათვის. ამაზე ბ. მაზრის უფროსმა წინადადება მისცა საზოგადოებას, რომ ძველი ადგილი შეუფერებელი არის ბაზრობისათვისო პირველი მით, რომ გზა არის და არ შეიძლება გზა შეიკვრასო, მეორედ იმიტომ, რომ რკინის გზის სადგურზე გასვლა შეუძლებელია ხალხის გამოო, მესამეც იმიტომ, რომ ეკკლესიაზე და სკოლაზე ძალიან ახლოს არისო. ეკკლესიის და სკოლის სიახლოვეს ბაზრობის გამართვა შეუძლებელიაო. ახალი ამორჩეული ადგილი ყველასათვის ძალიან მოსაწონია: იქით და აქეთ მშვენიერი ქვითკირის დუქნები, შუაში დიდი მოედანი, შუა მოედანზე, მშვენივრად მოწყობილი „ყაფანი“ (რომელზედაც მუქთად უნდა უწონონ ხალხს ყველაფერი) ყაფნის გვერდით ძალიან ცივი ანკარა წყაროა, რომელიც მილებით ამოყავთ მაღლა. ასე რომ ვინც უნდა მიიყვანო იმ ახალ ადგილზე, ყველას მოხიბლავს მისი სიმშვენიერე და სუფთა ჰაერი. დიდი მადლობის ღირსი იქნება ბ. მაზრის უფროსი, რომ ახალ ადგილზე დანიშნავდეს ბაზრობას, და მით აგვაცდენდეს მტვრისა და ტალახში სვრას, და უვარგის ჰაერის ყლაპვას.

სოფლელი

*** **ს ექადია** (გურია). უგზობა და უპატრონობა. გზების უვარგისობით ჩვენი სოფელი დიდად შეწუხებულია: ზაფხულობით ურმით გავლა საშიშია და ზამთარში კი ქვეითად გავლაც გასაჭირია; ჩვენი მამასახლისი კი ყურებსაც არ იბერტყავს, იგი კმაყოფილია მარტო თავისი მამასახლისობით, არც გზების გაკეთება, არც არაფერი სხვა მას თავის მოვალეობად არ მიაჩნია და სოფელი უპატრონოდ მიუგდია

*** **ს. ოძისი.** მოსავლის პირი. წლევანდელი ზაფხული ავდრიანი, მაგრამ მოსავლისათვის ძალ-ღონის მომცემი და ერთობ იმედიანია. ქერების მკა გახშირდა, პურიც მალე შეიქნება სამკალი. ოქროსფრად გაღაღადებულ მინდორს ხავერდის-ფრად მობიბინე სიმინდი სძლევს უმეტესობით. ალბად შარშანდელ ოძისურ ღონივრულ მოსავალს არ მოუთხოვნია პურის მომეტებული ნახნავი. კვლავ სიმინდი ნაკლებად ითესებოდა ხოლმე, რადგან პურის მოუსავლობა მოითხოვდა ამ გვარ ხვნა-თესვის განწყობილებას.

ბალახის მოსავალსაც ვერ დავემდურებით წელს. ვაზს ჩვეულებრივი ცრემლი-სიდუხჭირე აღარ ეტყობა. კვლავ ამ თავითვე შევიმჩნევია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მაგრამ გვალვის დროს. ალბად გრილი ზაფხულია დამცველი ვაზის ავადმყოფობისავან. წამლობა, როგორც ქსნის ხეობის სხვა სოფლებში, ოძისს ჯერ არც-კი მოჰფიქრებია, რადგან აქაური ბუნება ბევრით ღონიერია ზოგიერთა ხეობის ადგილებზე. ვაზის ყოველწლიურ ბარვას, ნოტიო წელიწადს ძლიერებით აღუქურავს აქაური ჯიშის ვაზი, რომელიც მუდამ თითქმის შეუმჩნევლად იტანს ავადმყოფობას; თუმცა კეთილი გული მაინც ძმურ დარიგებას გამოიწვევს აქაურ მემამულეთა მიმართ, რომ ყოვლის სიკეთით აღსავსე მამული იკურნებოდეს შაბიამანითაც. მოეხსენება ყველას, რომ მარტო თვის ღონეზე დანდობა ძნელია, რადგან ვიცით, რომ უძლურიც ბევრჯელ გვიმონებს: პაწაწკინა უჩინარი ჭიაღუა ხელიდან გვაცლის ერთ მეხუთედს თუ არა, მეათედ ნაწილს მოსავლისას მაინც, სარწყავ ვენახს წამლობა არ უნდაო, მდინარე ქსანი მხსნელია ყოველივე ავადმყოფობისაგანაო. ვენახებს მილდიუსაგან მდ. ქსანი ისევე იხსნის, როგორც აზვირთების დროს ბრმა მოგზაურს. სწორედ შებრალების ღირსია ეს ძვირფასი მამული.

?

*** **დ. ცხინვალი.** უსუფთაობა. ყოველი ქვეყანა, ყოველი კუთხე იმასა ცდილობს, რომ როგორმე თავი დააღწიოს სიმყრალე-სიბინძურეს და თავი განიბან-განისპეტაკოს; ამისთვის არც ფულს და არც ძალ-ღონეს ჰზოგავენ; და ასე იმიტომ იქცევიან, რომ კაცმა ცოტა მეტ ხანს იცოცხლოს. ცხინვალელებსაც, რასაკვირველია, უნდათ სიცოცხლე, მაგრამ ამათ ეს უნდათ გაურჯელათ და უხარჯავათ. ეს დალოცვილი ებრაელები ყელამდის სიბინძურეში ათენ-აღამებენ: ამათ ისე დაჰკარგვიათ ყნოსვა ცხვირისა და ხედვა თვალისა, რომ ჩამი-ჩუმშიც არ არიან უსუფთაობის გამო. სწორედ ამ გარემოების წყალობით გახლავთ, რომ უპირველეს ყოვლისა აქ გაჩნდება ხოლმე ყოველივე გადამდები ავადმყოფობა და შემდეგ ქართველ-სომხობასაც შემოურბენს. მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, არც ეს უკანასკნელები სცხოვრობენ წესიერად, ერთი მეორეს მისჭუჭკიან და იჭყლიტებიან; არსად წესიერი მისადგომი, საჭირო ადგილი, არსად წესიერი კარ-მიდამო. ამ ყოფაში არიან შინ და გარეთ და დღესაც არ ფიქრობენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეხლა ინებეთ და დაუარეთ ყველა სამიკიტნოებს, შესვლისათანავე ფინთი სული გულს შეგიწუხებს; მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ დუქანზედვე აქვთ ბოსლებიც და დუქნიდგანვე შეჰყავ-გამოჰყავთ ყოველი პირუტყვი. ეხლა დაათვალიერეთ ქუჩები: თითო ქუჩაში ათი ნალბანდი მაინცა ზის, რომლებიც თავიანთ ოსტატობას შიგ შუა ქუჩაში ასრულებენ. სწორედ სასაცილო, მაგრამ თანაც სამწუხარო სურათი წარმოგიდგებათ: იგი შუა ქუჩაში წაქცეულს საქონელს ჰედავს, რიგი რეტიან ცხენს ეჭიდება, რიგი ხუნაგს უცრის, რიგი ჰკოდავს და სხვა და სხვა. აი ასეთი სურათების მაყურებელ-

ლნი არიან ჩვენი ქუდოსან-მანდილოსანნი, დამა-კავალერნი. იქნება მათთვის ყოველივე ეს ამ უაზრო ქვეყანაში გასართობი გახლდეთ, რადგან დილა-საღამოობით ჯგუფ-ჯგუფათ დასეირნობენ უწმინდურ ქუჩებში და ხიდზედ. ანკი რა ქნან, ეს გახლავთ ამათი „გალავინსკიც“, ორთაჭალაც, მუშტაიდიც, თუმცა ბაღ-ვენახები არ აკლიათ, მაგრამ აბა იქ ვინ რას დაინახავს, თუ საქმის დღეში ეს ამბავია, კვირაობით სულ სხვა სანახავია: ცხინვალის ქუჩები მთლად გაჭედილია, დილიდგან საღამომდე საქონელ-შებმულის ურმებით გაჩაღებულია ვაჭრობა ოსებსა, ქართველ-სომეხსა და ურიათა შორის; პირველნი გამყიდველნი არიან სამაჩაბლოდგან შემოტანილ ხე-ტყის ყოველ გვარ მასალისა და დანარჩენი მყიდველები. კაი კაცი ხარ და გაივლი ისე, რომ მუხლებამდის საქონლის განავალში არ მოისვარო. აი ამ სურათის მნახველი ცხინვალელები დღესაც არა ფიქრობენ, რომ ერთი მოედანი შეიძინონ სადმე, თუნდა ეს მოედანი დგურისშიც იყვეს (ცხინვალიდან ნახევარი ვერსია). სასწორიც მეტად უადგილო ადგილას არის, ასე, რომ ყველა თანაბრათ ვერა სარგებლობს და ამიტომ აუცილებლად საჭიროა შუა ალაგი მოუძებნონ, რადგან მომტანისათვისაც ყოვლად მიუვალი ადგილია.

— **ცხინვალელების დროს-გატარება.** ცხინვალელები ერთმანერთს ეჯიბრებიან ნარდში, ლოტოში, ბანქობანაში, ჰორიკანობაში და სხვაში. ტუჩის ფერი აღარა აქვთ ლამის ტეხისაგან. ბანქოს თამაშობიდგან რომ ამათ თითო ოროლა კაპეიკი გადაედოთ, წიგნთ საცავ სამკითხველო დღესაც დაურღვეველი ექნებოდათ და თუ ამათთვის წიგნთ-საცავი მეტი ბარგია, მათი შვილებისათვის უკვდავების წყარო შეიქნებოდა.

— **საქალებო სკოლა.** ხმა დადის, კავკავის საქალებო 4 კლასიანი სკოლა, რომელსაც 6 კლასიანად უპირებენ გადაკეთებას, ცხინვალში გადმოაქვთო. მერე და როგორ მიეგებნენ ცხინვალელები ამ კეთილ საქმეს? ქალებისა არ ვიცი, და კაცები კი სულ ჭერში ქუდებს ისროდნენ: არ გვინდა, ნეტავი ღმერთი გაგვწყრომოდა და ვაჟების სკოლაც არ გაგვეხსნაო; დღესაც ამის გამო ლამის დაგვჭამონ ურიებმა, ფულით მონაწილენი ვართ და შვილებს არა ვზრდითო. ჩვენ რომ ნაცარ ქექინი ვიყვნეთ და ურიები ფონატიკოსები, ვისი ბრალია? ქვეყანამ ფრთები შეისხა, სწავლა ცოდნით შეიარაღდა ან ემზადებიან; ჩვენ კი კუტი კალიებივით ერთმანერთს ვეძიძგილავებით და უსაგნოდ ველაყბებით.

— **კარგი ბოქაული.** ჩვენი პოლიციის ბოქაული თვალ-ყურს ადევნებს ყოველსავე უწეს-რიგობას, მაგალითად, სასწორების სიყალბეს, ქვაბების უსუფთაობას, საწყაოების სიმცირეს და სხვას. ხიდის შესაკეთებლად მასალა და ფული ისე შეჰკრიფა, რომ სოფელი არ შეუწუხებია; თუ სადმე რამე უწესოებას ვაიგებს დაუზარებლად მიდის, მაგალითად: ვიღაც ავაზაკებს, თუ არა ავაზაკებს, მიუგზავნიათ ამ წინა დღეებში ქემერტის მღვდელთან კაცი და ხარჯი უთხოვნიათ. ბოქაულმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გაეშურა, მაგრამ ვერავინ ნახა.

— **მიწის გაზომვა.** ერთ თვეზე მეტია, რაც სამაჩაბლოში მიწის მზომელი მუშაობს, გვარათ უთნელაშვილი, ყოვლად დინჯი, აუჩქარებელი და პატიოსანი კაცია. ჯერ-ჯერობით სამზღვრებს უვლის და თავის დროზედ სოფლადაც ჩამოვა. ჩამოვა კი, მაგრამ რას ფიქრობს ჩვენი მესაკუთრე გლეხი, ან დროებით ვალდებული და ანუ ჩვენი თავად-აზნაურობა. პირველს რა აქვს საფიქრებელი, თუ კანონიერი ნასყიდობა უჭირავს ხელში, მაგრამ უბედურებაც ის არის ჩვენი გლეხისა, რომ ვაითა და ვაგლახით მოგროვილ კალთა ფულს უსარგებლოდ გადაჰყრის და საქმისათვის კი ორიოდე გროშს არ გამოიმეტებს; საქმე ის არის, რომ მრავალი მონასყიდე გლეხს კანონიერად არ დაუმტკიცებია თავისი ნასყიდობა, მიუხედავად ამისა იგი დაიმედებულია, რომ თავის კეთილ-შეძენილი მამულის მოდავეთ არავინ გამოუჩნდება, ზოგიერთი ჩვენებური თავად-აზნაური კი გულის-ძგერით მოელის მიწის მზომელს რომ გლეხს დავა გამოუცხადოს და ლუკმა წაგლიჯოს. რას ფიქრობს დროებით ვალდებული? მას სჯერა, რომ ნადელებს ვადა გაუვიდა და საკუთრებათ გვიმიჯნავენო! აი რა აზრისა ჩვენებური გლეხი და მოტყუებული კია საცოდავი. საჭიროა ჩააგონონ მას, ვისიც ჯერ არს, რომ ეს აზრი უსაფუძლოა, და თუ მას ხელი მიუწვდება, მოურიგდეს მებატონეს და მიწა საკუთრებად დაიკორლონოს.

— **ჭირნახულის მდგომარეობა.** ჩვენსკენ თუმცა თხელი ჭირნახულია, მაგრამ რაც არის კარგია. სიმინდი საუკეთესოა, ვენახები ჭრელათაა: ზოგან კარგია, ზოგან სულ არაა.

კ—კელა

## რედაქციისაგან

**ბახვში** დასჯილს. საჭიროა მამასახლისის და მისი მწერლის უწეს-რიგობაზე საბუთები წარმოგვიდგინოთ, მაშინ დავბეჭდავთ.

**აკეთში** ან. კუკულაძეს. თქვენი მადლობის ბარათი სჯობია რომ პირადად გაუგზავნოთ, ვისაც მადლობას უთვლით.

**ცრემლის ხიდზე.** ვასილ ეზაკელიძეს. თქვენს წერილს ვერ ვბეჭდავთ.

**უხუთში** სანდროს. ხელმოუწერავ წერილებს აღარა ვბეჭდავთ.

## წვრილი ამბავი

პოლკოვნიკის გათხოვება. ამერიკის ჯარში არის ორი პოლკოვნიკი ქალი. ამას წინად ერთი მათგანი გათხოვდა. ეკკლესიაში იგი წარსდგა ჯვარის დასაწერად სადღესასწაულოდ მორთული: ეცვა ოქრო-მკედის გრეხილებით მოქარგული მუნდირი მოკლე იუბკის ზემოდან, და გაკეთებული ჰქონდა მხრებზე ოქროს ეპოლეტები; თავზე ეხურა სამ კუთხიანი ქუდი, ხოლო გვერდზე ეკიდა ძვირფასი, ტყავის ქარქაშიანი და საპილენძის ტარიანი ხმალი.


## განცხადებანი

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—11)

მიიღება ხელის-მოწერა

რუსულ-ქართულ

**ენციკლოპედიურ ლექსიკონ**-ზე

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო ანზე, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის-მოწერით მარტო 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ. ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო ბანზე უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (5—1)

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—15)